



№ 8 — 1917

კვირა 19 თებერ.

მეცხრედიდარი წელი

გამოცემისა 15 კ.



† კოსტავ მირზობ (1850 — 1917)

(იხ. ამავე ნომერში წერილი "ნეტარი საზოგადოებისა", 14 გვ.)

შინაარსი

- 1, მეთაური — საკუთარ ძალით . . . . . 2
- 2, სოფ. მგალობლიშვილი — ქართული ეკლესია და სამღვდლოება . . . . . "
- 3, ვ. კირვალიძე — მგზავრის ჩივილი . . . 3
- 4, დ. თურდოსპირელი — ზღაპრის ნაწილი 4
- 5, სამტრედიელი — გ. ქაჩაძე — ჭაღა დიდელი, როგორც სამშობლოს მომღერალი 5
- 6, გ. ქუჩიშვილი — ნ. გაცირიძეს . . . . . 8
- 7, ხასან გოლაძე — ფაქის წერილი ქაღალთან. "
- 8, ივანე ტყეშელაშვილი — ღარიბ ოჯახში . . . "
- 9, მის. ბოჭორიშვილი — გნების ბრჭყალებში (მესამე მოქმედება) . . . . . 9
- 10, ს. გლახაშვილი — სტენის მოყვარე და მისი ტუჩითი . . . . . 12
- 11, გუგული — თავი შაქარი . . . . . 13
- 12, იოსებ არიმათიელი — ნესტარი საზოგადოებისა — ოქტავ მირზობ . . . . . 14
- 13, წერილი ამბები სურათები, შარეი, გინცხადებანი.

თეატრის 19

**საკუთარი ძალით** უხარო კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო, ასეა ჩვენი საქმეც: თავის თავის მოუვლელნი, სხვის ქირსა თუ ლხინში ვუვლით რიკფანდურას...

შინ ათასი საქმე მოუწყობელი გვაქვს, საკუთარი ცხოვრება ათას ხელს მოითხოვს და ჩვენი ქვეყნის შვილნი კი, ვინ იცის, ვისთვის და სად არ ხარჯვენ თავის ძალღონეს!

რის ვაიფავლახით გამოიზრდება ხოლმე ჩვენი ქვეყნის შვილი, მიიღებს უმაღლესი სწავლა-განათლების დიპლომსა და ახლა იმის ძიებაშია—როგორმე სადმე მოხელედ შევიდეს, თავი შერგოს ჯაბაგირიანი ადგილი იშოვოს, თუნდა ისეთი, სულიც რომ გაიყიდოს—არ ერიდება!

და ეს ერთ დროს მაღალ მისწრაფებით აღჭურვილი ჯაბუკი, შემდეგ მთელ სიცოცხლეს სწორედ იმის გამკვიდრებას ემსახურება თავის ქვეყნის საზარალოდ, რის დასამხობადაც ჯაბუკობაში ჰბორგავდა...

და ასე გვედღუპება სულხოციო არა ერთი და ორი ძალა ჩვენის ქვეყნისა!..

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დარგი კი—სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო და სხ.—დღესაც პირველყოფილ მდგომარეობაში თუ აღარ არის, არც ისეა წინ წასული და მრავალ თვითშემოქმედ მუშა ხელს ითხოვს...

ჩვენი ტურთა ქვეყნის სარჩო-საბადი უცხოელთ მიაქვთ და თქვენ—სხვადასხვა ცოდნით მოსილნი ჩვენი ქვეყნის შვილნი—რად აუქმებთ თქვენს ძალას, რას შესცქერით სხვას ხელში, რატომ თვითმოქმედების უნარს არ გამოიჩინებ?

ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა აღზდგება მხოლოდ თავის შვილთა საკუთარი ძალღონით,—

და თქვენს ძალღონეს სხვას რად ალევთ?!

ნუ თუ არ იცით, რომ საკუთარ ბაღში დარგული ნაძენი ათასად მეტს გასაიპოვნებთ და გასარგებლებთ, ვიდრე სხვის ზვარში გაშენებული ხევნარი?!

„დრო ძვირად ჭირს, ნუ ჭკარგავთ, დაუხმეთ ჭკუას და გონს... თორემ ინანებთ ბედის ჟამს, რაკი ვერ გახვალთ ფონსა...“

# ქართული ეკლესია და სამღვდელეობა

(ერთის თვალის გადავლებით)

საქართველო შეუერთდა თუ არა რუსეთს, მისს მმართველებს მაშინვე დაებადათ აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მოსპობისა. ჯერ კიდევ თ. პავლე ციციანოვმა, ტომით ქართველმა, თვალში ამოიღო ჩვენი ეკლესია, მისი ქათალიკოსი და ქართულს გალობას „თხის კიკინი“ დაარქვა, იმ გალობას, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავს მკოდნე მუსიკოსები. თავშივე, რუსეთთან შეერთებიდანვე, ჩაიდგა საძირკველი ჩვენის ეკლესიის და სამღვდელეობის გათახსირებისა. პირველად, როგორც მოგეხსენებათ, მანიფესტი შეერთებაზე პეტრეს ქალაქში გამოცხადდა 18 იანვარს, ხოლო ტფილისში 16 თებერვალს 1801 წლ. „მე მსურს,—იწერებოდა იმპერატორი პავლე,—საქართველო იყოს გუბერნია და ესრეთ მაშინვე იგი დაუქვემდებარეთ სენატს, სასულიერო მხრივ სინოდს, მისი პრივილეგიების (უფლებების) სელშეუხებლად“ (ხაზი ჩვენია). აქ ორი ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი წინადადებაა: დამოკიდებულება სენატთან და სინოდთან და სელშეუხებლობა მისი პრივილეგიებისა. თუკი დამოკიდებულება გამოცხადდა, ხელშეუხებლობას ვიღა უგდებდა ყურსა. ასეც მოხდა. ეს მანიფესტი პავლეს სიკვდილის გამო ვერ მოვიდა სისრულეში და იმპერატორს ალექსანდრე პირველს ხვდა წილად მისი ასრულება: ენკენისთვის 12 იმავე 1801 წ. გამოვიდა მეორე მანიფესტი ალექსანდრე პირველისა შეერთებაზე. თავად-აზნაურობა და ზოგიერთი მწყემსმთავარი ხობა-დიდებით შეხვდნენ ამ მინიფესტსა. გამოჩინებულმა მქადაგებელმა ორატორმა შეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისა, მწყემსმთავარმა ამბროსი ნეკრესელმა დიდი ხობა შეასხა ამ მოვლენას. ამბროსიმ მუსულმანთაგან დაწიოკებულ საქართველოს ხსნა ამ მოვლენაში დაინახა და ვერ განსკვრიტა მომავალი. შეერთება საქართველოსი რუსეთთან მღვდელმთავრის შეხედულებით, საქართველოს უბე-

დურებათაგან დახსნის ნიშნი იყო. როგორც მხის სითბო ყინვისაგან გათოშილს ადამიანს სიცოცხლეს დაუბრუნებს, როგორც გამოცდილი აქიმი მომაკვდავს გამოჰგლიჯს სიკვდილს პირიდგან, ისე გამოგლიჯა სიკვდილისაგან საქართველო ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულის მოწყალებამაო. ჩვენი მტრები მისი ძალით შეშუსვრილ იქნებიან და სამუდამოდ განვთავისუფლდებით მოსლემინთა უღლისაგანაო და სხვ..

სვეს ქართველი მწყემსმთავარი ვარლამი, გვარად ქსნის ერისთავთაგანი, გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხეველი. ექსარხოლობამდე იგი ახტალის მიტროპოლიტად იყო, 1801—1808 ითვლებოდა სინოდის წევრად და იღებდა მონაწილეობას კრებებზე. იგი ერთი თავგამოდებული მომხრე იყო, რომ საქართველოს ეკლესია \*) დაექვემდებარებინა რუსეთის სინოდისათვის. 1811 წ. ივლისის 8 ვარლამი მცხეთის მიტროპოლიტად დანიშნეს, 1814 წლიდან იმერეთის ექსარხოცადაც.

და გადაბადანეს ტახტიდან 14 მაისს 1817 წ. ვარლამის შემდეგ საქართველოს ეკლესია სრულიად ქერივდება. როგორც მოგახსენეთ, ექსარხოს ვარლამამდე საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალობა წაერთვა და მისი ბატონ-პატრონი შეიქმნა უწმინდესი სინოდი და მისგან დანიშნული რუსი ექსარხოცები.

რა შედეგი მოჰყვა ამას?

*ლ. მეიკოტოვიძე*

## მ გ ' ხ ა ვ რ ი ს ჩ ი ვ ი ლ ი

(სიმღერა)

რა დაგიშავე შენ ცაო,  
ღრუბლით რათ შეიმოსეო,  
დასძლიე, მთვარე—მნათობო,  
ბნელი, ნათელით ჰმოსეო.

შენ რაღას დაღონებულხარ,  
მშობელო ჩემო მხარეო?

იმედს ნუ ჰკარგავ, იმედით  
მეც გული გამიხარეო.

სიმდიდრით შემკობილია  
მთლად შენი არე-მარეო,  
შენია, შენვე იშრომე  
და შენვე მოიხმარეო.

განათლდი ბნელის მნათობო  
მთვარევე, სხივ-მომფინარეო!—  
ღმერთო მაღირსე განათლდეს  
ტანჯული ჩვენი მხარეო...

გ. კირვალიძე

უწმინდესმა სინოდმა თანდითანობით გაავრცელა თვისი განვლენა და ძალა საქართველოს ავტოკეფალურს ეკლესიაზე, თუმცა კი ჯერჯერობით ქათალიკოსი ანტონი მაინც მართავდა საქართველოს ეკლესიასა. მაგრამ ქათალიკოზი ანტონ მეორე უმაღლესი ბრძანებისა გამო, ივნისის 30-დან 1811 წლ. გაიწვიეს სინოდში კრებებზედ დასასწრებლად და ამ დღიდან მოსჰეს ავტოკეფალობა—ქათალიკოსი ანტონი აღარ დაბრუნებულა საქართველოში.

საქართველოს ექსარხოცობა და აფუძნეს და ექსარხოცად საქართველოისა და-

\*) ვ. კირიონი: Краткий очеркъ Ист. Груз. церкви и Монархата, გვ. 19.

# ზღაპრის ნაწევები

ვუძღვნი ფრიდიკოს

ირანის ლომი შაჰ-აბაზი მიწოლილიყო ტრახტრევანზე და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. უცნაური იყო... მისი სახელი დღითიდღე დიდდებოდა. გრგვინავდა... საბრძანებელი მისი ჰფართოდებოდა და სიმხიარულეს კი ჰკარგავდა..

მას აღარ ალაღებდნენ არც ქოს-მუტრიზნი და არც მგოსანნი... არც მხეველნი და არც მუშაითნი...

შავი კაეშანი აბედივით უხრჩოლავდა თავში და უწიოკებდა სულს... უგნისებდა გულის თქმას...

ბოლოს მოაგონდა, რომ იყო მისს კარს ერთი კარგი მეზღაპრე, რომელიც წარმტაცი, მხიბლავი ზღაპრებით ართობდა მას, როდესაც დაუმძიმდებოდა ხოლმე სული და ბრძანა მოეგვარათ იგი..

ეახლა მეზღაპრე...

— გამარჯობა, გურჯო!

— დიდება შაჰ-აბაზს!..

— მიაშბე რამე, ეგება გულს გადამეყაროს ჯავრი... მშვენიერი ზღაპრები იცი... აკი იმიტომ გაჩუქე სიცოცხლე... განსოვს, როდესაც გურჯისტანი დავიპყარი, ყველას მუსრი გავავლე... სინსილა გავავლე დედაბუდიანათ და მხოლოდ შენ დავარჩინე სიტყვა ნატიფი...

გურჯმა დაიწყო...

მოუყვა წარმტაცა ზღაპარი უკვდავ სიყვარულზე... ნეტარებაზე... ზღაპარი იგი ლაპარაკობდა ერთად-ერთ ბედნიერებაზე, რომლისთვისაც ჰღირს სიცოცხლე... და შაჰიც წაჰყვა მას... წაჰყია ოცნებით ზღაპარს ვარსკვლოვან ბედნიერებისკენ... იგი ძლივს მოსწყდა იმ საცოდავ დედამიწას, რომელზედაც იყო მიწებებული და მასზევე დაჰლევდა სულს ვით სხვა ათასნი, ზღაპარი უცხო რომ არ ჰსმენოდა...

შაჰი მოტკბა...

მისს თვალბეჭდით აღარ იღვწებოდა სისასტიკის კალო...

მისს გულში ჰკვდებოდა... ითიბებოდა სიგლისპის ეკალი... იცვლებოდა სიმუხთლის დვარძლი...

იბადებოდა რალაც ნათელი... მხიარული... საამო... აროდეს განცდილი...

მისთვის საცნაური ჰხდებოდა ტკბილ-მშვენიერი სიცოცხლე, რომელიც საიდუმლოების ბურუსისაგან ვერ განერკვია...

ზღაპრის შუამდის რომ მივიდა, შესდგა გურჯი და ნაღვლიანათ დაჰხარა თავი...

— მემრე... მემრე... შეეკითხა მთლად გრძობად გადაქცეული.

— განაგრძე გურჯო, განაგრძე შენს ლხენას...

— შემდეგი აღარ ვიცი, მეფევი!

— როგორ თუ არ იცი? რას ჰნიშნავს ესა!..

— განაგრძე მეთქი!.. — შეჰღრიალა შაჰმა და კბილებს კრაქუნნი დაწყებინა სიანჩხლისაგან...

გურჯი გაქვავებულისავით იღვა...

— მოჰკვეთეთ ამას თავი და მომგვარეთ სხვა ზღაპრის დასამთავრებლათ...

— ვერც სხვა გეტყვის შემდეგს, დიდებულო. დედამიწის ყოველ კუთხიდან რომ შეჰკრიფო მგოსან-მეზღაპრენი, ვერც ერთი შესძლებს მისს განგრძობას...

შაჰი უარესად გაცვიფრდა...

ჰკითხა მიზეზი...

გურჯმა აუხსნა:

— ეს ზღაპარი, უუნაზესი სიყვარულის ყლით დაკაზმული წინაპრებმა გვიანდერძეს... დაგვავალეს გავფრთხილებოდით... მტრისთვის არ ჩაგვეგდო ხელში...

ჩვენც ვინახავდით... ბრძოლითა და ჰაექრობით თაობიდან თაობას გადავცემდით... მოწიწებით უკითხავდით მოზარდთ და მით ვაფაქიზებდით... ვაჯავრებდით მათს სულს... უსახავდით ცხოვრებას შევარდისფერებულს... ელვარეთ გასხივებელს...

მაგრამ ერთხელ... შავ და უკულმა იგი დრო... ერთხელ მტერი დაგვეცა... გავგაჩანაგა... აგვაფორიაქა... იავარ-გვეყო... მოჰსპო საუნჯენი ფას დაუდებელნი... მოჰსრა ლაღიავუნდით მოოჰვილი მხატვრობანი... მიაგნო იმ ზღაპარსაც .. ზედ დააკლა აღმას ქაბუკნი მიფხრიწ-მოფხრიწა და ცეცხლს მისცა ნაფლეთები...

გადარჩა მხოლოდ ეს ნაწყვეტი...  
 შაჰი გაცოფდა... კვარსავით აენტო  
 თვალები..

— ვინ, ვინ იყო ისეთი უღეთო... ისე-  
 თი უვასაგისო... ვინ ჩადგა კაცობრიობის ცო-  
 ღვაში... ვინ მოსპო ასეთი მშვენიერება...

— შაჰო... ნუ გამირისხდებით და ერთს  
 მოგახსენებთ: თქვენ ჰგომობთ და ჰკრულავთ  
 ბარბაროსებს, მაგრამ განა თქვენ მასზე უა-  
 რესი არ ჩაიდინეთ? განა პატარა საქართვე-  
 ლოს ცხოვრება, ჩემი კეკელუცი მამულის მა-  
 ტიანე-ვი ლამაზი ზღაპარი არ იყო?..

განა მისს შვილთა მაგალითი არ გვეუ-  
 ბნებოდა გმირობაზე... რაინდობაზე... ხელო-  
 ვნების აყვავებაზე... მუსიკის აფსალმუნებაზე...

განა მთელი ჩვენი წარსული არ წინას-  
 წარმეტყველებდა დიად, სასწაულებრივ შე-  
 საძლებლობაზე?

მემრე რა დაჰმართე შენა?...

განა დააცალე, რომ ეს ზღაპარი დას-  
 რულებულიყო და კაცობრიობას დაენახა იგი...  
 მოესმინა... ზიარებულები მისის ულამაზესის  
 შემონაქმედით?..

განა შენ არ გასწყვიტე შუაზე ის ზღა-  
 პარი და...

— კმარა! — შეჰყვირა გულზევაჟმა, რო-

მელიც მკაცრ სიტყვებისაგან იგლარ-  
 ძებოდა, როგორც თავ-გაჩქევილი გველი..

შაჰს ყველაფერი ეცნო..

მართალს ამბობდა გურჯი..

არის გრძნობა, არის წუთი, როდესაც  
 თვინიერდება თვით მხეტთა-მხეცი და შაჰიც  
 მოლბა,

ჩავარდა სინანულში..

ბრძანა გაენთავისუფლებინათ საქარ-  
 თველო... აბარგულიყო ჯარი... დაეცალათ  
 ციხე-კოშკები... განეწმინდათ შებღალული  
 ტაძარ-მონასტრები. . . . .

საქართველო განთავისუფლდა, მაგრამ რა? .

ხომ ვერ გამოთვლდებოდნენ მის ქრილო-  
 ბანი, რომელნიც მისმა მუხთლობამ დაასუ-  
 რათა?..

უკან ხომ ვერ დაუბრუნებდა უწყალოთ  
 დაფრქვეულ სისხლის კრემლებს... ხომ ვერ  
 გააცოცხლებდა უანგარიშოთ განგმირულ  
 ყრმათა და ვერ წაშლიდა ივერიის ცაზე  
 წარწერილს ქმავს მათიანეს აოხრებისას და  
 ამტუტებისას!..

ქ. ბროლი.  
 8 იანვ. 1917 წ.

*ქ. ბროლი*

გ. ქოჩიაძე (ჭალადიდელი) რო-სამშობლოს მოძღვრალი გორც



საქართველოს ფიარუნი ცა ბეგრი სხვადა-  
 სხვა მნათობითა მკაცრული, ბეგრი მათში ზირ-  
 ვულ ხარისხოვანი მოსხიფციკარე, მოკლეარე...  
 ზოგი მათში ისეთი რამ არის, რომ ზირველ შე-  
 ხედვით თითქმის ვერც კი ამჩნევთ, ვერ გზიბ-

ლავთ და გიტატებთ, მაგრამ რაკი დაუგვირდუ-  
 ბით მასში ბეგრ დირსებს და ძღეურებს ადმო-  
 ახენთ. ასეთი მნათობი მკრთალი სანოსლით არის  
 შეშკობილი და მიტომ არ ეჩნებება თვალში  
 კაცს. როგორც მნათობი ასეთი არსება სუსტია...  
 და ასეთს სუსტს არსებას ჩვენს ზოგისაში ჭა-  
 ლადიდელი წარმოადგენს.

ის ნიჭი, რომლის შეკლებით სულს უდ-  
 გაშს და ასნივოსნებს ზოგე თავის ქმნილებას,  
 ერთობ მკრთალი იყო მასში, მაგრამ მნიშვნე-  
 ლობა მისი ღირიკისა ამ განკვანის სამოსელის  
 გამოკვლებითაც აზრანია, სიშიშველ მის შემო-  
 ქმედებას იმდენად არ უშლის ხელს, რომ შინა-  
 არსიც გაუქრდეს; ამასთანავე ზოგან ტემპერამენ-  
 ტი და გრძნობაც სჩანს და ამიტომ მისი შე-  
 მოქმედება გაუფორმებლადც საუურადდება.

გიორგი ქიჩაქიძე, ჩვენს მწერლობაში ჭა-  
ლადიდელად ცნობილი, დაიბადა 15 ივლისს  
1847 წ. სოფელ ფერსათს იმერეთში. მამა მისი  
მასხიძე ტარიელის ძე მეგრელი იყო, — ჭალადი-  
ლის მებატონე, ღელა — იმერელი, ასული ვინე-  
ელიზბარ მისიძისა; პირველდაწყებითი სწავლა  
ჭალადიდელმა სახლში მიიღო, შემდეგ ქუთაისის  
გიმნაზიაში, რომლის კურსიც დაასრულა 15 ივ-  
ლისს 1869 წ. შემდეგ იგი საზღვარ გარე ვა-  
სილას ეპიკოპოსად, მაგრამ უსახსრობის გამო  
1870 წ. 14 აგვისტოს შევიდა პეტროგრადის  
სამხედრო სასწავლებელში.

1873 წ. ჭალადიდელი გამოვიდა აფიგრად.  
ამას შემდეგ იწეობა მისი ხანა სამხედრო სამსა-  
ხურისა, რაშიც მიაღწია პოლკოვნიკის ხარის-  
ხამდე.

თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ჭალა-  
დიდელმა რუსეთში გაატარა არტილერიის ჯა-  
რისკაცთა და ოფიცერთა შორის. 1898 წ. 1 აპ-  
რილს ჭალადიდელი გარდაიცვალა ქ. მინსკში.  
ცხედარი პეტრისა რუსეთიდან სამშობლოში ჩა-  
მთავრენეს და მიწას მიაბარეს სოფ. ჭალადის  
26 მასის.

ლექსების წერა ჭალადიდელმა გიმნაზიაში  
დაიწყო. გადვიძება ამ გრძობისა, წახალისება  
და დაფასება ლიტერატურული შრომისა უნდა  
მიეწეროს მამინდელს ქუთაისის სალიტერატურო  
წერს.

მესამოცე წლები ჩვენს ცხოვრებაში ნაყოფი-  
ერი წლებით ითვლება: აკაკი, ილია, ნ. ნიკო-  
ლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვა, — ამ  
მთელი პლეადა ახალგაზრდა მუშაკთა, რომელ-  
ბიც ამ წლებმა მოგვცა და რომელთაც დაუდეს  
სათავე ჩვენს ახალს მწერლობას.

ჭალადიდელი, როგორც დროს შვილი, დრო-  
თი სარგებლობს და ჩვენი განახლებული ლიტე-  
რატურის და აზროვნების მოწაფეთა ხდება. რო-  
გორც ადამიანი, ჭალადიდელი მთლიანი პირო-  
ვნება არ არის, მისი პოეტური მიზანი სრულად  
არ ეთანხმება მის ცხოვრებას — სამხედრო სამსა-  
ხურს, ის ეტრფის, სხვათა შორის, თავისუფლე-  
ბასაც. ნამდვილად კარგი ცხოვრებაში, თავისუფ-  
ლეების შემზღვევლია, მაგრამ ჩვენი მიზანია  
მისი პოეზიის დასახსნა და ანა მისი ადამი-  
ანობისა. მართალია, ის სხივი, რომელსაც მზე

იდევს მისივე ნაყოფია. აგრეთვე პოეზია პო-  
ტი ჭალადიდელისა ნაყოფია მისივე პიროვნე-  
ბისა, მაგრამ საუბედურად ცხოვრებაში ეს ასე  
არა ხდება: მთლიანი პიროვნებანი ისე, როგორც  
კუნიონი, ძვირად იბადებიან.

„მოგონება“, „სიმღერა“, „ჩქეიფი“ და  
ორივე სხვა მისი წერილი ლექსებისა ნამდვი-  
ლად, ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოების ამ ლექ-  
სებში სრულიად გარკვევით სხანს სახე ბუნებრი-  
ვი პოეტური ნიჭით აღჭურვილი ადამიანისა: აქ  
პოეტი სახვებით იმას გამოთქვამს, რაც უგრძობ-  
ნია და განუცდია. ამიტომაც რომ წაკითხვისა-  
თანვე ეს ლექსები გრძობის ძაფებს ატოკებენ.  
სულს სწვდებიან და დროს შთაბეჭდილებასაც  
სტოვებენ.

უმთავრეს საგანს ჭალადიდელის საგალობ-  
ლისა სამშობლო შეადგენს და უმეტესობა მისი  
საუკეთესო ლექსებისა ამ გრძობითაა გაუღრთი-  
ლი, მაგრამ ასე მშვენივრად, ასე წრფელის გუ-  
ლით არც ერთს ლექსში არ გადმოუცია მტკიანის  
თავისი გულის ნადები, როგორც „სიმღერა გარ-  
დახვეწილისა“-ში.

უნცოეთში მეოფე მტკიანის მუდამ თვალწინ  
უდგია მისი საუფარელი სამშობლო. ნატრობს  
ჩიტად გარდაქცევას და მის ნახვას:

ჩემს სამშობლოს ვიკონებ,  
ნახვას ველირსებოდე...  
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,  
მილ-მალ გაფფრინდებოდე“-ო.  
გაიძახის მტკიანის.

ეს სიმღერა გულის სიღრმედაც ამონაკვ-  
ნისია, ნადვლით და სევდით შეფერადებული სუ-  
ლის სიმბტომია მკვნესარი და ურვით აღჭურვი-  
ლი, ეს სიმღერა ჩამთავრებულია და შთაბეჭდი-  
ლებიანი; მისი უოველი წახვი, მისი მელოდია  
რა გინდ მოხდენილად და გრადით არ იყოს  
შექმნილი, მაინც უოველთვის აჯადოებს და  
იმკნებს ადამიანის გულსა და გონებას, ეს სიმ-  
ღერა პოეტის გრძობ-ემოციათა სარკეა.

პოეტის ოცნება სამშობლოსადმი ძლიერია.  
სამშობლოს ის უფლათურსა სწირავს: „ეს ჩემი  
გული მსგერვლად მისთვის არ შემურება“;  
ცოცხლად ხომ მისი არის, მას ეაღერსება, მას  
ეგდება თავზე, სიკვდილის შემდეგაც მასვე ჩაუ-  
ხუტება ან კი შეიძლება სხვაფერად გამოთქმა

გრძობისა და მიზნის დასახვა იმ სანეტარო, იმ სათაყვანო საგნის შესახებ, რომელიც ისე უუვანს მგოსანს: „თუ სხვიან მიდის, გული ძვირს და არ დგება; მგოსანს მხოლოდ ის აწუხებს საყვარელი დარჩება“.

ეს მისი საყვარელი მისი ღამაზი სამშობლო კარგი გულის არის: „უუყვარვარ და მეც მიყვარს, სიყვარულიც ეს არის“, თავმომწონედ, ამაყად სწავის ზოეტი. ეს საუკეთესო მისი ზატრიტული ლექსი მისი შემოქმედების თაიგულის ერთი მომხიბლველი უგავილთაგანია, ნაზი და თვალწარმტაცი.

„მოგონებაში“ იგივე სამშობლო სიუყვარული აქვს გატარებული მგოსანს. კი ნუ გავიგონებთ და ეს ხელმოკლედ დაჯილდოვებული კაცი ამ ზატარას ლექსით ზოპუღიარულ ზოეტად ხდება. ძნელად მოიძებნება მისთანა კუთხე, მით უმეტეს იმერეთისა, რომ ეს ლექსი არ იცოდენ. „მოგონებას“ ან როგორც იტყვიან ხელმე ჩვენში „მასწავს ზირველად“—ს დღეს ხალხი მღერის ჩანგურზე და სხვა დასაკრავებზე. ასეთი თვისება ზოეტისა, რაც უნდა ზატარა ნიჭის იყოს, ის მაინც დიდ დიანსებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მისმა სიმღერამ უქმად არ ჩაიარა, სალონებში არ ჩაიკეტა, დაბანებში არ ჩაატყნა, მიწვდა გაძვალტყავებულ ხალხს და კვამლით შებოლილ-გაჭკვარტლულ ქოხებში შეიჭრა.

„იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,—  
კარგია შეილო სწავლის შეძენა,—  
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზედ უფრო,  
არ დაივიწყო სამშობლო ენა:  
მერწმუნე, რომა გამოცდილია,—  
თუ საძირკველი დანგრეულია,  
მაშინ კედლების აშენებისთვის  
ყოველი შრომა დაკარგულია!..“

ზოეტის რწმენით, ერის კეთილდღეობა და ძლიერება ეროვნული კულტურით უნდა ამაღლდეს; ის ერი არ არის ერი, სიცოცხლეშივე მკვლარია დატყვეული და გადაგვარებული, რომელსაც ენა, ეს მძლე იარაღი, მისი მისიური ძალა და უკარგავს ან არ ცდილობს მის გაძლიერებას და მტკიცე საფუძველზე განაცრებას.

ზოეტის რწმენით, საშობლო ენა „საძირკველი“ და ეს ასევე არის. სამშობლო ენა დედა ბოძია, ნიადაგია სხვა ენების შესათვისებლად.

დღეს მეტნიერებას რომ ქონდეს ისეთი იარაღი, რომ ბავშვის ტვინში შეიძლებოდეს ენის მხრივ შთანასხის აღმოჩენა, ეველასკედ უმაღლ მშობლიურ ენის შთანასხის აღმოჩენს; და უოკლად შეუძლებელი იქნება იმავე დროს სხვა უცხო ენის შთანასხის აღმოჩენა. ამ იმპულსს ბავშს შემკვიდრება-ეროვნული მიდრეკილება აძლევს, რასაც მეტნიერები შემკვიდრებითი გადმოცემას ეძახიან.

ჭაღადიდელი არ არის ბრმა ფანტიკოსი, უღარდელი მტრთვიალუ სამშობლოსი; მასში იგი ბევრ ნაკლსაც ზოულობს:

„სახლი მინახავს მორთული,  
ჰქონდა ზოლია გოლაქული,  
მაგრამ იმ სახლის მცხოვრები  
იყო მტერი და ორგულიოა.“

სწერს ის მეორე ადგილას. ამხინად გმობს და ჰგონისაფს ვრთ-ერთ ნაწილის მოწინავე წოდებას, მადალ საფეხურებზე მდგომთ, გადადაგვარებულებს და სინარულით მიმართავს ფაცხას და შიგ მცხვრებთ, რომელთაც გული ჰქონდევ ადამიანური შერჩენათ „გული კეთილი და მასპინძლორი“. ამიტომაც უუვანს ზოეტს „უფაცხა წვრილი წკნელით მოხლართული“, იქ გამოზრდილი ტიტველი, უფერული უმაწილგებიც, რომ „ამ რიგად გამოზრდილი ზაწაწინა უსუსური მამულ-დედულის და შრომის წამს დარჩება მოყვარული“.

ამ რიგად ჭაღადიდელი დემოკრატიც არის იმდენად, რამდენათაც გამოეფებული იყო ეს ჭანგი მაშინდელს ჩვენს მწერლობაში.

ჭაღადიდელი ადვილებს გრძობას სამშობლოსადმი და დემოკრატიისადმი. ის გვიტაცებს და გვხიბლავს მისის კულწრული ლექსებით; მთელი მისი ზოეტური ნიჭი მგოსანს აქ აქვს გამოჩენილი, ეს გრძობა მასში ცრუ არ არის, ხალხსი ბუნებრივია და ამაშია მისი მნიშვნელობაც. სამშობლოს სიუყვარულის გარდა მისი ადამიანურება, მისი ოცნება, მისი შემოქმედებითი ზოეტური ნიჭი სუსტია და მკრთალი, მაგრამ ამ უმთავრეს ლეიდ-მოტივით მაინც დიანსია დაფასებისა, როგორც იმ დროის მომდერათაგანი, რომელსაც უგრძნია სამშობლოსადმი ადამიანური გრძობები და ამ გრძობების მიერ მოურთავს თავისი კულწრული ქართული ჩანგი.

სამტრედიელი



ელ. ჩერქეზიშვილი  
(შარტი ლ. გულიაშვილისა)

— ომი რომ გათავდეს კიდევ, ჩემი იუ-  
ბილე არ გათავდება!..

## ნიკო გოცირიძეს

სახალხო სცენაზე 20 წ. მოღვაწეობის  
გამო. ექსპრომტად, წარმოთქმული სა-  
ხალხო თეატრში 4 თებერვალს.

ჩვენი სცენის შენებისთვის  
ისეთი რა მომელოცნა,  
რომ ძვირფასი ყოფილიყო,  
როგორც მგოსნის წრფელი კოცნა?  
არაფერი! და მეც კოცნით  
ვეგებები არტისტ-ძმასა  
და მის ზემო ღღესასწაულს  
მეც ვუერთებ ტაშის ხმას!

*ნიკო გოცირიძე*

## ვაჟის წერილი ქალთან

(დექსი გამოთქმული ქართულ მკვლავიანის ხასან გოლაძის-

მიერ, იბეჭდება სრულიად უცვლელად)

ვაი, რა ჩეთინი დარჩა მე და შენის დაშორება,  
გული მკერდში აღარ მიძგერს, და სიცოცხლე ჩემი ქრება,  
როდესაც ერთად ვიყავით, ხომ არ გვქონდა დარიდება,  
ჩემი კურცხალი ზღვას ერთვს, ისე ცეცხლი მეკიდება.  
შენ რა გიკირს გენაცვალე, საწყალი ჩემი თავია,  
ვიწვი უცეცხლო ბატონო, შენსკენ მიჰიარავს თვალია,  
ერთი წიგნი, გთხოვ, მომწერე, შიგ გამიხვიე თმია,  
ნეტამც იგი ბედი მომცა მე ვიყო შენი ქმარია.  
რა იქნება გენაცვალე მოიბრუნო ჩემზე გული,  
მსახური რა შეგვშენის—ჩვენ არ გვინდა მოციქული,  
ოლონდ წიგნში ჩამიწერე, თუ დაგვირდეს თეთრი ფული,  
ჩემოვლობა შენ წაიღე, თქე მოიგე ჩემი გული,  
გულის წუხილი ამიტყდა, მტანჯავს შენი სიყვარული,  
ერთი წიგნი გთხოვ მომწერე, გამინათლე ამით გული,  
წიგნი სისხლის ცრემლით ვწერე, შით არს ჩემი გული, სული.

შასან გოლაძე



ნიკა ოღრაბიშვილი

საშუელი გლესი—ჯარისკაცი.  
ომის დაწყებისას სამხედრო სა-  
მსახური გაათავა. მაგრამ სამ-  
სახურშივე და ბრუნეს. ახლა-  
ტყვეთა გერმანიაში, ამისი სა-  
მი ძმაც ომშია.

## ღარიბ ოჯახში

(ხალხურ კილოზე.)

მშინ მცოვა, დედილო...  
მამა წავიდ ჯარშია,  
შინ გაკვირება გვბატონობს,  
ყინვა სიცოცხე კარშია!...  
რა გვეშველება, დედიკო,  
რითი ვირჩინოთ თავიო?

სიკვდლი კარზე მომდგარა,  
პირს აღებს როგორც სევადო...  
ბავში ტიროდა, დედაცა,  
ერთურთს აძლევდენ ბანსაო,  
ხოლო სიკვდლი-სიმშობილი  
დასტრიალებდა თავსაო!...

იაგო ტეტუნაშვილი.



# მეზობის ბრძენებში

სურათები სუთ მოქმედებად მის. ბოჭორიშვილისა

მოქმედება მისამი

საბა. სამარეშიც წასულხარ და ჯანდ-

სცენა წარმოადგენს სოფლის მოედანს, სადაც მალაღ ხეებ ქვეშ დიდრონი ქვებია დაწყობილი ჩამოსაჯდო-მად. სცენის სიღრმედან ტაშისა და დაირის ხმა მოი-სმის. აგრედვე ისმის სიმღერა „პარალი-პარალი“. ხის ძირას ქვებზე სხედან მოხუცი გლეხი ბათლომე და საბა.

I

საბა და ბათლომე.

**ბათლომე.** მხიარულობს ახალგაზრდობა. ბატონიშვილებიც მათ წრეში უვლიან ფერ-ხულს. წინად აბა როგორ იკადრებდენ გლე-ხეში გამოსვლას? იცვლება დრო, ჩემო საბა!

**საბა.** ხომ გაგიგონია, აზნაური მქაღს არ სქამს, მოშივდება კირს მომქამსო. იკად-რებენ თუ არა დიდი ბობოლაები ეგენი არი-ან! ვითომ გვეჯობნიან, რითიმე თუ?

**ბათლ.** ნუ იტყვი საბა, მთა და ბარი ღმერთსაც ვერ გაუსწორებია. როგორ არა გვეჯობიან! გასაწვევ შაგინი არავის გაჰყავს, სწავლა მაგათია და განათლება.

**საბა.** სწავლა თუ არა ერთი დიდი ღე-ნერალი-კი გყავს ის ჩვენი გიორგი.

**ბათლ.** მართლა, კაცო, გიორგის ძმის-წული მონაზვნად წავიდა მონასტერში?

**საბა.** აბა რა უნდა ექნა მისი ბიძის შე-მყურეს? ჩაიგდო ხელში ღვთის ანაბარად მი-ტოვებული ობოლი და მთელი ცხოვრება გა-უფლანგა.

**ბათლ.** განა ეგ არის მიზეზი?

**საბა.** მაშ რა? უმზითვოდ ვინ ოხერი შეირთავდა ღვთის გლახას! გაუთხოვებლად დაბერებას-კი მონაზვნად წასვლა არჩია, თო-რემ ღმერთი მაგათ უშველის ღვთისა და ხა-ტის მაგათ სწამდეთ რამე?

**ბათლ.** ძალიან ჭკვიანი ქალი-კი იყო და.

**საბა.** რაც უნდა ჭკვიანი იყვე ბიძა მისის ხელში, მაინც გამოჩერე ტლები. შეხედ გამობრუებული ღვინით და ბატკანივით კვინ-ტრიშობს ყმაწვილებში. არც-კი რცხვენია ამ ხნის კაცს.

II

ივინივე და პლატონი

**პლატონ.** ოპ სამარისკენ მიმავალ მგზა-ვრებს გაუმარჯოს.

ბაშიც.

**ბათლ.** კი არ უნდა გეწყინოს საბა! ყმა-წვილი კაცია.

**პლატ.** შენს სიკვდილთან რომ დაქორ. წინებას ველირსებოდე, ჩემო საბა, სულ ღხი-ნით გაგაცილებდი სამარის კარამდე.

**საბა.** შე არამზალა მე რომ მოვეკვდე— შენ რა შეგეძინება?

**პლატ.** ცოტა შეისვენებდა ჩვენი სოფე-ლი. არა, საბა ფრინველებიც-კი ერთგული მცველებია ტყის და შენ რა ჯინი გჭირს ასე რომ აჩანაკებ? ღმერთი აღარ გახსოვდა ისეთი ხეები რომ მომიჭერი?

**საბა.** ისე ღმერთი შენს ახალგაზრდო-ბას დააცლის როგორც მე შენი ხეები არ მომეჭრას.

**პლატ.** აბა ბათლომე არ გაიქცეოდა „დობილაურში“ მუხების მოსაჭრელად.

**საბა.** იმე, ამისთანა გაგონილა? თვისი ხელით მოჭრილი ხეც რომ ნახონ რომ მეო-რე დღეს—არიქა, საბას მოუჭრიაო! რავა, ჩემს მეტი ვერავინ მოსჭრიდა, თუ რავა თქვენი საქმე? (უფჯაშ ხელზე მოაგვიდებს) ეს უღვაში აღარ მსხმია, თუ მაგ ცილის წა-მებისთვის პასუხი არ გაგებინე. აი ბათლომე მაინც მყავს მოწმედ.

**ბათლ.** ღვთის გულისათვის, ნუ წაიხუ-ბებით. სირცხვილი მისი, ვინც სიცუდე იკად-რა, თორემ შენ ბევრი არ დეგაკლებდა-რა, ჩემო პლატონ!

**პლატ.** მეწყინება მაინც, მამა ჩემმა რომ იმ ხეების მოჭრა გაიგოს, შენი მტერი გადურ-ჩა ისე, ის ავდმყოფობას გადურჩეს.

**ბათლ.** კითხვაც გადამავიწყდა. როგო-რია ეხლა მამაშენი, ვერ მომჯობინდა!

**პლატ.** როგორ მომჯობინდება თუ კა-ცისას არ გაიგონებს? ვებვეწები, თავს მოუა-როს, მაგრამ გაიგონებს! ამას წინად კინალამ ძალათ მოიკლა თავი. რაღაც საუბედუროთ გვერდების დასაზელი მაზი მოუტანე: <sup>სე</sup>ესაო და მყრალი სუნი აქვს, რომ დავლიო, უფრო

მომიხდებოა. ამდგარიყო და მაზი დაელია. კინალამ წაილო წერილი საიქიოს' არც ვფიქრობდი თუ გადარჩებოდა.

**ბათლ.** საცოდავი რა შეცდომა მოსვლია.

III

იგინივე და ლიზა

**ლიზა.** (ხელში დაიჩა უჭირავს) საბას გამუმარჯოს. მე და შენ ერთად უნდა ვითამაშოთ.

**საბა.** რაღა დროს ჩემი თამაშია შენი ქირიმე.

**ლიზა.** (სტენიდან გასძახებს) ყმაწვილიუბო! საბა უნდა ვითამაშოთ, საბა!

IV

იგინივე და შამშე, სუსანა, გიორგი და სხვები.

**გიორგი.** საბა! საბა! უსათუოდ უნდა ითამაშო!

**ბათლ.** რაღა დროს საბას თამაშია, თქვენ ისიამოვნეთ; ბატონებო. მე და საბა — ის დროა სტლის საცხონებლად ვემზადებოდეთ.

**გიორ.** შენი რა მოგახსენო და თუ ჩვენი საბა ცხონდა, ჩემი ძალიც ნაცხონები იქნება.

**შამშე.** აბა, საბა, ერთი მაყურებინე შენი თამაში.

**სუსანა.** აჰ, მოხუცებულობა არ დაგწამონ!

**გიორ.** საბა უარს ვერ იტყვის, ტაში, ყმაწვილებო.

**ბათლ.** გაამხიარულე ერთი ეს ახალგაზრდები თულა გიჯერის მუხლები, ჩემო საბა.

**საბა.** იმე, მეზარება, თორემ მაგათზე უკეთ კიდევ ვითამაშებ.

**ლიზა.** აბა ტაში ყმაწვილებო! (დაიჩა უჭირავს. საბა თამაშობს).

**გიორ.** ყოჩაღ საბა! ყოჩაღ!

**სუს..)**  
**სამშ.)** ყოჩაღ! ყოჩაღ!

**გიორ.** ეხლა-კი შენი რიგია ბათლომე.

**ბათლ.** ნუ, შენი ქირიმე, ფეხებს ძლივს მივათრევ მიწაზე. სად შემიძლია?

**შამ.** უსათუოდ უნდა ითამაშოთ.

**სუს.** ტაში.

**ბათლ.** არა, თქვენი ქირიმე. (შამშე ხელს

ჭკიდებს და ძალად სურს ათამაშოს ბათლომე ხელიდან გაუხსნდტება და გარბის).

**ყველანი.** ხა! ხა! ხა! გავიქციეთ! გავიქციეთ. (სტენის იქით მოაისმის სიმღერა „ჭარაღი-ჭარაღი“ და შევლევ იქით გაქურება, საბას გარდა).

**საბა.** არ გამასულელეს დარბაისელი მოახუცი!

V

ბათლომე და საბა

**ბათლ.** ჰე. რა კარგია სიყმაწვილე? თამაშობენ, მხიარულობენ! რას დაგიდევენ, მოახუცო ბათლომე, თუ რა რაოდენი სევდავარამი აწევს მძიმე ტვირთად შენს მოხუც გულს?

**საბა.** მაგათ რა ენაღვლებათ, ჩემო ბათლომე. ჯერ ცხოვრების სიმწარე არ გამოუცლიათ, თორემ... ჰაი! ჰაი! არა პლატონიც რომ მაგათ აყოლია?

**ბათლ.** აბა რა ქნას, ყმაწვილი კაცია.

**საბა.** (ჩიბუსს აშოადებს) ერთი ჩამიყარე შენი თუთუნი! შე მამაცხონებულო, დაგიჟინია სიყმაწვილე, სიყმაწვილე! კაცს მამა გიკვდებოდეს და შენ არასფრად ავღვდდე? არ ვარგა, ჩემო ბათლომე. მშობელი რისი მშობელია თუ ავადმყოფობის დროს არ დაეხმარე? ყვავი ვარდის ბუჩქს შემოჯდა თავი ბუღბუღი იგონაო, ისეა მაგათი საქმე. იმ გამოყეყეჩებულობა დიომ რაღაც სისულელის წერა-კითხვა ისწავლა და თავი დიდათ მოაქვს. ეხლა სიძობასაც კი ებირება.

**ბათლ.** კაცო, მართალია დიო ჰკუიდან შეიშალაო?

**საბა.** იქნებ არ გჯერა.

**ბათლ.** მეტის მეტი სწავლით თუ მოუვიდა საბრალოს.

VI

იგინივე და ლიზა.

**ლიზა.** წამო საბა, ერთი კიდევ ვითამაშოთ.

**საბა.** რა მეთამაშება შენი ქირიმე. რაღა მე მოხუცს კაცს მაწამებ. ყმაწვილები ცოტა არიან?

**ლიზა.** კი, მაგრამ შამშეს მოსწონს შენი თამაში. მე მინდა ვასიამოვნო ინინი, წე-

მო ხათრს ნუ გაუტეხ, ვიდრე ჩვენთან არიან. მალე წავლენ კიდევ და მერე ვინ იცის კიდევ მოვლენ ჩვენში თუ არა.

**ბათლ.** სად მიბრძანდებიან?

**ლიზა.** რუსეთში! სასწავლებლად.

**ბათლ.** რავე შენი ჭირიმე! სწავლა კიდევ არ დაუთავებიათ!

**ლიზა.** არა, ჩემო ბათლომე.

**საბა.** ცეკვა-თამაშის მეტი თუ არა ეძიეს-რა, ჩემი ხნისაც რომ გახდენ, სწავლას მანაც ვერ დაასრულებენ,

**ლიზა.** შენი ბიჭი სადღაა საბა?

**საბა.** კანცელარიაშია მწერალთან.

**ლიზა.** მწერალთან რა უნდა?

**საბა.** რა ვიცი, იქნებ შეისწავლოს რამე მეთქი და ჩაუყვანე.

**ლიზა.** სწავლა თუ გინდოდა—სკოლაში ვერ არონინე?

**საბა.** ან ცეცხლმა კი დასწვას ის რაღაც სკოლაა დი მისი მასწავლებელიც.

**ლიზა.** რათა საბა! რა დაუშავებია?

**საბა.** რა გამიკეთა? ორი წელიწადი მომიცდინეს ბავშვი აბლა-უბლის მეტი არა უსწავლიარა. ესაო და ყაყაო ყვავილიას, შაქარი ტკბილიას, ნამუსიც კარგი საქონელიაო. მერე კოზლიკას, ინდეიკას რა ვიცი რას არ აქაქანებდენ, განა მე არ ვიცი, რომ ყაყაო ყვავილია? მე მინდა არზების წერა ესწავლა. ის კი არა და კანცელარიიდან უწყება მოუტანე და ისიც ვერ გადაიკითხა. მეხი-კი დაეყარე იმ სკოლის მომგონს.

**ლიზა.** ხა! ხა! ხა! ბატონო გიორგი! შამშე! აქ მობძანდით, ყური დაუგდეთ საბას მკერმეტყველობას?

VII

ივინივე, გიორგი, შამშე, სუსანა, პლატონ და სხვები.

**გიორ.** რაო, რას ამბობს საბა?

**ლიზა.** ხა! ხა! ხა! ღმერთო ჩემო! ხა. ხა. ხა.

VIII

ივინივე და დიოგენი.

**დიოგენი.** (სცენაზე შემავიჯნება, ხელს სტატებს გიორგის და ახუდრევს. საბა ხაბაღას მობხდის, საღამს აძლევს)

**გიორ** დიო! უოჩად!

**შამშ.** სწორედ რომ არ გელოდით?

**სუს.** რომ იცოდე რა მხიარულ დროს ვატარებდით.

**დიოგ.** (შეატრად) სად არი ალოლ? მითხარი ჩქარა?

**გიორ.** როგორ თუ სად არ იცი განა?

**სუს.** მონასტრის ყრუ კედლებ შორის ალოლს ვედარ მისწვდება თქვენი ხმა.

**დიოგ.** (სასწავარკვეთილებით) მაშ მართალია?

**გიორ.** ალოლმა უარპყო ამ ქვეყნიური ყოველივე დამონასტრის კედლებს შეაფარაქთავი.

**დიოგ.** (შეატრად) რად დართე ნება? შენ აქ განცხრომას ეძლევი, ის კი იქ იხშობს სი-ცოცხლის დილას!

**შამშ.** ბევრი ვეხვეწეთ, ვემუდართ, მაგრამ ამოღ! ნუ თუ აქამდის არასფერი იცოდი?

**დიოგ.** მე არა მრწამდა, თუ ის ასეთ უვიცობას ჩაიდენდა. მერე რა უნდა გააკეთოს იქ მონასტრის ცივ კედლებში? ხალხნო, რად ააშენეთ მონასტრები, რად ან და თუ თქვენმა წინაპრებმა ააგო ისინი, თქვენ რად არ დაანგრეთ ეს სულისა და ნების საბატონოები? ხალხნო, რას სდგენართ აქ? (ხალხში ჩურჩურხუდი გაისმის: „მართლა შეშლილს ჭკუიდან! ა მუარე კუთხეში ისევ განახლდება ტაშის ხმა და „ჭადალი ჭადალი“ სიმღერა). ხალხნო! წავიდეთ დავანგრიოთ მონასტრები.

**ლიზა.** დამშვიდდი, ძმაო!

**დიოგ.** მომშორდი!

**შამშ.** სამწუხაროა, რომ ამ გვარად დაასრულა თვისი ამ ქვეყნიური ცხოვრება ალოლმა.

**დიოგ** სამწუხაროა! მერე რა ზომები იხმართ, რომ ასეთი შეცდომა აგეცილებინათ თავიდან? (სასწავარკვეთილ ხმით, თათქმის ტირილით) ალოლ! ალოლ!

ფ ა რ დ ა.

*თბ. მოქალაქე*

(გაგრძელება იქნება)



# სტენის მოუვარე და მისი ტვირთი

„ვისაც არ უხილია იმას არც უკეთია“, — გამიგონია ჩვენში და ასეც უნდა იყოს; ადამიანი რას მოადებს ტვირთსა, მასინ იტრბინობს მის სიმძიმესა; ხოლო რომელიც სუბუქად ზიდავს, მისი სიმძიმე არად მიაჩნია მსუურებელს.

ჩვენებურადც სტენის მუშაკს, რომელსაც სურვილით, ახსნელბით, უკისრია მუშაობა, ეწოდება: „სტენის მოუვარე.“ და მართლაც მისთვის, რომ სუფარული არ იყოს იგი, გერ აბიტანს რაც მას სტენაზედ შესვდება.

ეხლა ცატილებით უკეთეს პირობაშია სტენის მოუვარე; თუმცა პრაციონიაში მომუშავეთა იგივე ტვირთი აქვთ, რაც უწინ, მით უმეტეს მას, რომელსაც შესაფერისი შნა და ნიჭი ახლავს და არც არას ზოგავს.

ჭკუთვია თუ ამხანაგობა ჩვენში შრომის განაწილება არ იცინა; საზოგადოთ, თუ შეატყვის ამხანაგს შრომის უნარი ისე დაანდობენ უფრედივეს მას, ვით უღელში ზანტი ხარი თავის გამწევს მუდღესა.

აქაღა გაუძღვება საქმესაო, ღიდი და მატარა უფრელ საქმეს დაანდობს ერთსა და უფრედივე იტია: რალების გადაწერი, აფიშების შემდგენელი, ნუბართვის ამღები, დეკორაციების დამდგმელი, ტანისამოსის მშოვნელი, ტრამპების გამკეთებელი, სტენაროუსი, მსუურებლის მასუხის გამტეში და, ასე ტასინჯე, ამხანაგთა შორის უთანხმოებისა გამო, სხვის მატეერ ბოდიშის მომხდელი, ოდონჯ დაწეებუელი საქმე არ ჩიამაღას.

კარგა ხანია მას შემდგე, მატონდება და თვალწინ მიდგას აგქადის აუდიტორის სახლი:

რადც პიესა მიდის; მატრეში ხმარობას, უკმაყოფილებას წარმოადგენის დაუწეებლობისაგამო; სტენაზე ოთახი დადგმულია, ხოლო მოუწობელია; სტენის ქვეითა სართულიდან — სარდაფიდან კიბეზე ამოდის ფილაც დატვირთული.

— ნიკო ჩქარა, ხალხი იღანძდება. — მიმართა შემოსუღმა დატვირთულს.

— ვისა, — შეეკითხა თავისებურად ნიკო გონიძე, რა ამოვიდა და მატარა ტახტი მხრადკან ოთახში დასდო, — შენა გღანძდავენ? მას, ახია...

— მე რა შუაში ვარ... — სთქვა და გაბრუნდა.

— თუ შენ არ შეგესება, რაღა გენადგება. — მიუგო ნიკომ და მიმართა. — მოდი შენ, აი, ეს ხალხია გაშალე; მე სურათებს დაგვიღებ...

— მე უნდა მოგემზადო... — სთქვა და გატრიალდა.

— მას, მოემზადე რაღა...

— ნიკო! ტრამი გამიკეთე... — მიმართა ლავიანებულმა.

— რე, შენა ხარ! — მიმართა ნიკომ. — უშეწოთ სამინისტროში არა გაკეთდარა, რა დავიკვიანე?

— ნიკო, ეს რატომი ქამარია?! — წერომით მიმართა მესამემ.

— რა, პირობი არა აქვს?... გახეუმარა თავისებურად ნიკო და სურათის ჩამოკიდებით განკრძო: — მატრედიან გერ შამინჯვენ...

— შენ ხუმრობ და მე კი ამ ქამარს არ შემოვიკრავ...

— კარგია, ჭო, ნუსტირო, მე ჩემს ქამარს მოტეში... — დაჭმირდა ნიკო და მიმართა იქავე სხვას. — აბა პირველი ზარია. — და ჩაეშვა სარდაფში, რომ ჭერ სხვები მოკავშია და შემდგე თვით გამოწეობილიყო სათამაშოდ.

აი, ასეთ პირობაში უმუშავნია ნიკო გონიძე რიქე ოცის წლის განმავლობაში და, არა თუ თავი არ გაუნებებია თავის სუფარულ საქმისათვის, არამედ ერთგულად ეს მძიმე უღელი ტვირთად უტარებია.

ნიკო გონიძე, კარდა იმისა, რომ ნიკიეობა, ვით მუშაკი, თითით სხვენებელია და, ვით მატალითი, პრაციონიაში თუ აქა სტენის მუშაკისათვის სანუგეშია.

ნიკო გონიძე შეიღობა ხეღობან — მუშა ხალხისა; ამ ხალხმა წარმოშვა, მან აღზარდა და ნაცულათ დგიდლი შეიღობისაგან ხეღონებისათვის გაიწერთვნა; ამისათვის მშობელმა გაიხარა და მატევიცა სტა.

მაგრამ ეს დღესასწაული, ოთხს თებერვალს 1917 წ. სახალხო სახლის თეატრში, არა შინაურული უნდა უოფილიყო, მატრა სახალხო სახლის აუდიტორიას კი არ უნდა ეხილა და გაეხარა, არამედ ეველას, აქეთური თუ იქითური მოწაწილე უნდა გამხდარიყო.

ნიკო გაცინიძე ნიჭიერი სტენის მუშაკია და მით იგი ეგუფას სსუვარქლია.

ამისათვის ეგუფას, აქაურებს თუ ზრთვინციელებს, მონაწილეობა უნდა მიეღოთ მის ცდი წლის დღესასწაულში, რადგან მისი დღესასწაული კი არ არის, არამედ სსხაფხო აუდიტორიის გამარჯვებაა, ჩვენი ხელფასან-მშრომელ ხაფხის ამადლებია.

ს. გლახაშვილი

თავი შაქარი

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ორმა კარგმა მეგობარმა შაქრომ და მიხეილმა თეატრში გაიციენს ლამაზი ნინა.

მაღალმა, შავთვალა, ისრების მსგავს წარბებით შემკულმა ნინამ გააგიჟა ორივე მეგობარი... შეუყვარდათ ორივეს ნინა.. მათ შორის ნინას უფრო მოეწონა შაქრო... დაღონდა მიხეილი.

უფრო დაღონდა მაშინ, როდესაც დაინახა, რომ ნინა მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

რა ღონისძიებას არ მიმართა მიხეილმა, რომ ცოტათ მაინც მოეგო ნინას გულა! გაიგო, რომ ნინას უფრო უღვაშებ მოპარსული ყმაწვილები მოსწონსო და წამსვე განშორდა თავის ახლად ათქვირებულ საგანგებო შავ უღვაშებს... ნინას ეტლით სეირნობა უყვარდა! დღე არ გავიდოდა, რომ არ ჩამჯდარიყო ეტლში მიხეილი საღამო ხანს და არ მიღგომოდა ნინას სადგომს... მაგრამ ნინა შაქროსთან ფეხით სიარულს მჯობინებდა.

ნინას ხასიათის მიხედვით მან დაანება თამბაქოს წევას თავი!

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო ..

— შაქროჯან—მიმართა ერთ საღამოს მიხეილმა შაქროს, როდესაც იგინი თეატრის შემდეგ ვახშობდენ რესტორანში.

— რა იყო, ბიჭო?

— შემომხედე... არაფერს მატყობ?

— რა უნდა შეგატყო! ისეთივე სულელური გამომეტყველების სახე გაქვს, როგორც უწინ.

— შაქრო, ვერ მატყობ, რომ წონაში ოცი გირვანქა მოვიკელ?

— ეხლა კი დარწმუნებული ვარ, რომ მარტო გამომეტყველება კი არა გაქვს სულელური, არამედ მთლად თავიან-ფეხებიანად სულელი ხარ! როდის აგწონე სასწორზე, რომ ემ შენი წონის დაკლება შემეტყო?

— კაცო, ერთი შეხედვით მაინც ვერ მატყობ?

— რა ვიცი! ჩემზე მეტად შენ გაგბერია ლოყები!..

— მე მართალს ვამბობ! ოცი გირვანქა მოვიკელ.

— მიზეზი?

— გითხრა?

— მითხარი—წანდაწინვე ვიცო სისულელე იქნება.

— მე ნინა მიყვარს, შაქროჯან!

— რომელი ნინა?

— აი... შენ რომ დასდევ!

— კარგი საქმეა!

— შენი ჭირიმე, შაქრო, გაანებე თავი მას! დამითმე მე!

შაქრომ თვალები დააქციტა.

— როგორ თუ დავანებო?

— ისე... დაანებე!.. შემდეგ მე დავიწყებ მასთან სიარულს და იქნებ თვითონაც შემეყვაროს!

— გადაგრია ჩემმა გამჩენმა!.. ბევრი სისულელე გითქვამს შენს სიცოცხლეში, მხოლოდ უკანასკნელით კი სისულელის რეკორდი დაადგინე... კრინტი აღარ დასძრა მაგის შესახებ!.. გაუსწორდი ლაქიას.

მიხეილმა ხელი ჩაიქნია, თავი ჩაღუნა და მწარედ დაფიქრდა...

რითი დამთავრდა ეს რომანი?

ნინა ერთი თვის შემდეგ მიხეილს ცოლად გააყვა!.. საქმე ასე იყო: მიხეილი ერთი კვირის განმავლობაში საღლაც იყო გადაკარგული. ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ-ვერავეინ გაიგო. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, მივიდა ნინას მშობლებთან და მიართვა მათ საჩუქარი.

რა საჩუქარი იყო ასეთი, რომ მით ასეთი სისწრაფით მოიგო მიხეილმა ნინას გული და თვისი მეგობარი შაქრო პირში ჩალა გავლელბული დასტოვა?

საჩუქარი განლდათ ერთ-ფუთიანი თავი შაქარი—რუსეთში, ქარხანაში საგანგებოდ შექმნილი და ჩამოტანილი.

გუგული

# ნესტარი საზოგადოების

ოქტავ მირომ (1850—1917)

სწორედ ნესტარი იყო დამყარებულ-ფარისე-  
ველ საზოგადოების საფრანკეთის გამომხილი  
მწერალი ოქტავ მირომ, რომელიც თებერვლის  
პირველ რიცხვებში კარდაიცვალა.

ერთხელ ჩვენმა მწერალმა ანტონ ფურცე-  
ლადემ თავის თავზე სთქვა, ბედმა იმიტომ გა-  
მანინა, რომ ჩვენს წელურებში სელი ვეროილა..

ეს სიტყვები უფრო თამამად შეეძლო თა-  
ვის თავზე ეთქვა ოქტავ მირომს.

ახალგაზრდაობიდანვე მოუჩილებლად, პირ-  
დაპირ და გაბედვით მიჭეო სელი თავის დროის  
განწილ-საზოგადოებრივ წეობილების შეუბრა-  
ლებელ მხილებს...

როგორც ბასრი ნესტარი გულ-კაყ დოსტო-  
ქრის ხელში, ისე ეტაკებოდა სოღმე ეოველს  
ბიქერს, უოველს მანკიერს...

სარხული და საპირე საზოგადოებრივ, სახემწი-  
ფობრივ თუ საეკლესიო ცხოვრებისა შეატრიალს  
და მსოფლიოს დანახვა შეუნიერ საპირეს ქვეშ რა  
უაღბო სარხულია, გვიჩვენა, რა რიგ განწილია  
აწინდელი ვითარება ქრისტიანული, ეგრედწოდე-  
ბული „კულტურული“ დაწინაურებული საზოგა-  
დობა და მისი შემინაქმედნი.

ეკლესია, კანონმდებლობა, მთავრობა, მეტ-  
ნიერება, პრესა, ოჯახი და მათი მსახურ-ხელ-  
მძღვანელები რა რიგ განწილია, ფარისეველი,  
პირმოთნე, ჭეშმარიტების მაგიერ მხოლოდ მა-  
მონის მსახური.

და ეველს მათგანი დაუნდობლად განმთრახს...

ვითარდა ჭეშმარიტ მხატვარ-ხელფანს შე-  
ჭმერის, ოქტავ მირომ ცხოვრების სიღუსტინე-  
სიყაღბეს თვალწინ უშლიდა მკითხველს და სა-  
კუთარ სულში ასეღებდა: აი, იხილე რა სარ...  
უაღბო ცხოვრების გარდაქმნის საშუალებას-კი არ  
უჩვენებდა, თათქა ამათ უებნებოდა: მუნაკლზე  
მიგოთითე, კზა ხსნისა შენ ეძიეო...

საუცხოო მისი რომან-მოთხრობანი: „მო-  
სამსახურე ქაღის დღიური“, „გოლგოთა“, „წა-  
მების ბაღი“, „სკეპსტიან როკი“ და სხ.

ქართულად ნათარგმნის მისი პიესა ჩვენ და  
მადღენა და კიდევ რამდენიმე მოთხრობა.

თავისი გაბედული სიტყვით—საზოგადოე-

ბის მხილებით—მირომ თანამემამულეებში არა  
ერთხელ გამოიწვია აერ-ზაური: მისი მომხრენი  
და მოწინააღმდეგენი ზშირად დუღამდესაც მი-  
დიოდენ... მიუხედავად ამისა, მირომს მანტ  
ვერავინ აჭხდის დიდებას გვირგვინს: იგი თვი-  
სი სამწერლო მოღვაწეობით უკვე მოთავსდა კა-  
ტობრიობის მოკეთე აღმინათა რიცხვში და სა-  
ფრანკეთის ერთი თავისს ამ საამყო შვილს უკ-  
ვდავთა შორის მოთავსებს...

მიამეა საფრანკეთის მწერლობის დანაკლი-  
სი, რაიცა ეველს კულტურულ ერთა დანაკლისა-  
დაც უნდა ჩაითვალს...

იოსებ არიმთიელი



ბაქოს ქ. შ. წ. კ. გ. საზ. კანე. დრამ.  
სექციამ ხუთშაბათს, 2 თებერვალს სომეხთა  
კატომევერე საზოგადოების დარბაზში გამარ-  
თა ცნობილი რეჟისორის ალ. წუწუნავას ბენე-  
ფისი.

ბ-ნი წუწუნავა დიდი ხანი არ არის რაც  
ბაქოში გამოიწვიეს რეჟისორად. მისი რეჟისო-  
რობით სულ ხუთოდე პიესა დაიდგა, რაც საკ-  
მაო შეიქმნა, რომ ბაქოს ქართული საზოგადო-  
ება გასტრობოდა მის უტყუარ ნიჭს, შეუდარე-  
ბელ ტეხნიკას...

საბენფისოდ წარმოდგენილ იქმნა პირველად  
ბაქოს სტენაზე ტ. რამიშვილის „შეშლილები“  
და დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. წარმოდგენის დაწყების წინ ბ-მა შ. დადიანმა  
წაიკითხა მოკლე მოხსენება, რომლითაც გაკურით  
შეესო შემხსენებულ პიესების შინაარსს, მათ  
ავტორთა დახსიათებით...

„შეშლილებში“ ბ-ნი წუწუნავა ასრულებდა სიღ-  
ვას როლს. ეველს მოთამაშენი ჩინებულად იფ-  
ნენ მომზადებული და განსაკუთრებულ ეურადლე-  
ბას იქნეგდებენ კარგის თამაშით: ბ-ნი კლადი-  
(ფეხიდაღე), რომელიც მაყურებელს გრუნტელსა  
ჭეგრიდა, თვით მობენფისე, ვ არაბიძე (აღამი),  
მადღა სონელი (ტიგრან) და გ. პავლიაშვილი  
(ეაფლან). რიგანი იყო ანსაბლი და სკერთო  
შთაბეჭდილება დამკამეოფილებელი.

თვით პიესაზე გავგანდირებები და ვიტყვი, რომ, იმ შემთხვევაში, თუ იგი დაწერილია სტიქთის ცნობებიდან სიყრთოდ, მასში არ არის შექმნილი ვეუღანაირი ტიპი, უმთავრეს მიზეზად შეუძლია მისი გამოყვანილია მხოლოდ განრუებული სი-ვარუდი სქესობრივი ნიადაგზე დანახრენი მიზეზები არა სჩანს თუ სჩანს, ნაშეტანი მკრთლად...

„ღარისპანის გასაჭირში“ ბევრადინეს ს-სოგადოება ვ. არაბიძემ (ღარისპანი), ქ-ნმა ე. ანდრონიკაშვილმა (კარაყენა) და შ. ხანელმა (ასიკა). თეატრის არაზი ხალხით სხვსე იყო, მობენიფისე მინათვეს სხეუქები. **გულისაბა**

**წერილი აგვები**

◆ **ვალ. გუნიას** საიუბილოდ „თეატრი და ცხოვრების“ საგანგებო ნომერი გამოვა. ვისაც კი რაიმე მასალის მიწოდება შეუძლიან, უმორჩილესად გასთხოვთ დროით გამოგვიგზავნონ.

◆ **თბილისის საზაფხულო** დასის შედგენა ქართ. დრ, საზ-ის გამგეობამ ი. ზარდალიშვილს მიანდო.

◆ **სახალხო მგონის იოსებ დავითაშვილის** გარდაცვალების 30 წ. თავის შესრულების გამო მის პატივსაცემოდ საღამო გაიმართება. საღამოში მუშა-მწერლები მიიღებენ მონაწილეობას. საღამოს გამართვა განზრახულია როგორც თელავში, სადაც მგონი სანია დაკრძალული, ისევე თბილისში.

◆ **ვალ. გუნიას აღმანახი** მზადდება ს. ნელობლიშვილის რედაქტორობით. აღმანახი გამოვა ვ. გუნიას საიუბილოდ.

◆ **ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობის** მდივანა. ქუმბაძე სამსახურის გამო სხვაგან გადაიყვანეს, მიიწვევს მისთვის გამგეობისავე წევრი სოლ. ახვლედიანი.

◆ **დეკლამატორების კონკრეტული** სულით და გულით ვულოცავ ძვირფას ნიკო გოციორიძეს 20 წლით მოღვაწეობის შესრულებას დღესასწაულს. ვინატრ სამშობლო ხელოვნებს ბევრი ასეთი მუშაკი გამოსჩენოდეს. **ალ. არ ბიძე.**

◆ **ქართული თეატრის ასაზიფიფიფიფი** ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ: 1) სამსონ იოსების ძე გიორგობიანიდან ხუთი თუმანი (50 მ.); 2) კლავდია ლ. გაბუნიადან 2 მ. 50 კ-

◆ **მსახიობნი** ანა კავთელი და -ვანო -ბარველი (რეჟისორად) დ. სამტრედიის თეატრში გაიწვიეს ს. ზაფხულო სეზონისათვის.

◆ **ბათუმის დრამ. საზ-ბამ** ს. მდივანის თაოსნობით, გადაწყვიტა საგაზაფხულო სეზონის წარმოება რეჟისორად მიწვევს ა. წუწუნავა, მსახიობები: ქუთაისის დასის მთელი შემადგენლობა, ხოლო

თბილისიდან ან. ქიქოძე, მ. ქილაჯიშვილი და გ. იშხნელი. როგორც გადმოგვცეს, დრ. საზ-ას 80,000 მან. ხარჯალრიცხვა შეუდგენია ამ საქმის საწარმად

**ღიქველმოქმედო მიზნით** ვასო აბდალა, პიღვზე ემსაღეთ: 1) ვ. გუნიას სასარგებლოდ 3 მ. 2) ჭანების—3 მ., 3) ქართ. გიმნაზიასთან არსებულ სასაღილოსთვის—3 მ., 4) „ცეცხლისაგან დაზარალებულ ჩხარელ ებრაელთათვის—3 მ., 5) მათივე სინალოლისთვის—5 მ., 6) საზღვარგარედ ქართველ ჯარისკაცთათვის—3 მ., სულ—18 მ.

◆ **სოფ. კარვალისში** თეატრი და ცხოვრება“ თავის ხარჯით გაუწერა პანკისის სკოლას.

**წერილი რედაქციის მიმართ.**  
ბ-ნო რ-რამ დაპირებისამებრ გიგზავნით სამ (3 მ.) წანეთს ქართულ თეატრის სასარგებლოდ. აგრეთვე მოალეღ ვრაც ზემ თ ვს ყოველ წლიე გიგზავნით ხუთუმი მანეთი სანამ ჯარის კაცად ვარ ე. ი. სანხეღრო ზამსახურში. **პატ. ამ. კვირიკაძე.**

**ქართული ეკლესია პეტროგრადში**  
(წერილი პეტროგრადიდან)

იანერის 14 დირსშესანიშნავი დღენა აქაურ ქართველობისათვის დღეს პირველად გაიხმა აქ ქართული წირვა-გალობა. ვისლის კუნძულზე, ანდრია პირველწოდებულის სობოროს გვერდით პატარა ეკლესიაში მღ. მამა ჩიჯავაძემ გადაიხდა ქართული წირვა; რომელსაც აუარებელი ქართველობა დაესწრო. წირვაზე ბრძანდებოდნენ ეპიკოპოსნი ანტონი და კირიონი. ჰგალობდა აქ მყოფ მოსწავლე ახალგაზრდათა გუნდი. მამა ჩიჯავაძემ მოკლე დახასიათა წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა. განმარტებულ იქნა აგრედე ის, რომ ვიდრე აქაური ქართველობა აიშენებს საკუთარს ეკლესიას წმ. ნინოს სახელობაზედ დღეიდან ამ ეკლესიაში არსდება ქართული მოველი და შესრულდება ქართული წირვა-ლოცვა, სადაც ყოველს ქართველს შეუძლიან სამშობლოს ენაზე მოისმნოს ღმრის მსახურებაი.

**ნიკო ასლამაზაშვილი**

**„თეატრი და ცხოვრების“**

**ფონდის გასაძლიერებლად**  
1) ბ-ნო რედაქტორი ქალაქისა და სხვა მასალის გაძვირების გამო გაახლებთ ცხრა (9) მან., რომელიც მევე გადავდე პატივცემული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ სამი თვის განმავლობაში, თვიურად სამსამი მან. გიორგი მღრბაძე.  
2) ამისთანავე გაახლებთ 8 მან. პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის გასაძლიერებლად.

პატივისცემით პანკისის სკოლის მასწავლებელი პელო ალბუთაშვილი.

- 3) ივლიანე გვაზავასაგან — 1 მან.
  - 4) გ. სე—საგან — — 5 მან.
  - 5) კალ. ფირცხალავასაგან — „ 50
- რედაქცია შემომწირველთ დიდ მადლობას უძღვნის.

# V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამახტვრო კვირეული ჟურნალი

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრიზიანს

## თეატრი და სსოპრები

(წელიწადი შეხუთე)  
გამოვა სრული პროგრამით,

**აკაკის** „ნაპვემები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთთიქის** „რჩეული პუბლიკაციები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშად, კომპრომისული მიმართულებასა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დანახარებულნი და ხალგაზრდანი ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

ჟურნალის ფასი ორადეუ პრემიით წელიწადში დირს 8 მან. ნახევარის წლით, მან. 50 კახ. თითო ნომერი ეუკლავნ 15 კახ ფულის შემატანა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მისამდე—3 მ. 1-ელ გენკენისთვემდე 2 ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მალათოვის კუჩული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисть, ред. „Театри да Цховрефа“ Иосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

### საბურთალოს თეატრი

კვირას თებერვლის 19 ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ნ. გოცირიძის მონაწილეობით გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება

### ხ ა ნ უ მ ა

კომ. 3 მოქ. ავ. ტხვარდისა დასაწყისი საღამოს 8 ს, მორაგი გამკე მეღქო ლებანიძე.

### ახალი კლუბი

კვირას 12-26

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ, ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ,

პარასკევი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა.

შესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

### ხარჭუხის საზოგადო კლუბი

ორშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

კვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცი 50 კ.

დასაწყისი: წარმოდგენა — კონცერტების

— სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

რეგ-გამ. ანნა იმედაშვილისა



Доволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“